ნაციონალისტი

ხუთშაბათი ოქტომბრის 21 1920 წ. ნაციონალური და აგრარული პოლიტიკის ორგანო № 18 ფასი 10 მან.

მისამართი:

რედაქციის და კონტორის: დამფუძნებელი კრების (სასახლის ქ.) № 5. ტელეფონი 19-66.

რედაქტორის: წყნეთის ქ. № 17. ტელეფონი № 22

ხელის მოწერა:

წლის დამლევამდე—750 მან. (ფოსტ.-ხარჯით).

ერთი თვით ხელის მოწერა არ მიიღება.

განცხადებანი

მიიღება ნაშუადღევის 2 საათამდის. სტრიქონი პეტიტით 1 გვერდზე—120 მან. 3-4-გვერდზე—10 მან. სამგლოვიარო განცხადება 30 სტრიქონი—400 მან.

მეცხვარეის საყურადღებოდ

მატყლის შეგროვება, შენახვა, მოვლა მინდობილი აქვს მეცხვარეთა კოოპერატიულ ამხანაგობა

„მწყემსს“,

რომლის საშუალებით მთავრობამ დაკრიბა წინასწარი სესხი მეცხვარეთ.

ყოველი მეცხვარე, რომელმაც მატყლი ჩააბარა მთავრობას ამხანაგობა „მწყემსის“ საშუალებით, იმ ორი ათასი (2.000) მანეთის გარდა, რომელსაც იღებს მთავრობისაგან

მატყლის ადგილობრივად საფასურად,

მიიღებს აგრეთვე წმინდა მოგების ნაწილს და მაშასადამე, ის მატყლის საბოლოოდ განაღდებამდის ამ მატყლის პატრონად რჩება.

მატყლის განაღდებიდან მიღებული წმინდა მოგება განაწილდება შემდეგი წესით:

1) მეცხვარეობის ფასიმოჯობესებელ თანხის შესაბამილად (ფონდი) ერთი მეათედი [illegible] . . . 10 პროც.
2) მეცხვარეს ამხანაგობა „წყემსის“ საშუალებით ოთხ ნახევარი მეათედი, ... 45 პროც.
3) სახელმწიფოს მომარაგების სამინისტროს სახით ოთხ ნახევარი მეათედი, ... 45 პროც.

შეგროვილი მატყლის [illegible] დაკმაყოფილებული იქნება რესპუბლიკის საშინაო მოთხოვნილება, მხოლოდ დანარჩენი მატყლი განაღდებული იქნება საზღვარ-გარეთის ბაზარზე.

მომარაგების სამინისტრო.

განცხადება.

ოქტომბრის 1-დან დაიწყო მოქმედება თბილისის სამონოპოლიო მატყლის საწყობმა, საიდანაც მატყლი გაიყიდება ბითუმად.

სოფლებში და ქალაქებში მატყლის მომხმარებელზე წვრილად გაყიდვა შეუძლიანთ **მომხმარებელ კოოპერატივებს** და სადაც ამნაირები არ არიან—იქ თემებს და სხვა **საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.**

ზემოაღნიშნულმა ორგანიზაციებმა მატყლის შესაძენად უნდა მიმართონ

მომარაგების სამინისტროს,

რომლიდანაც, სრული საფასურის გადახდის შემდეგ, მიიღებენ ორდერს საწყობიდან მატყლის მისაღებად.

შენიშვნა: რესპუბლიკის ყველა კოოპერატივები საჭირო მატყლს მიიღებენ „ცეკავშირისაგან“, რომელიც მატყლს იღებს მომარაგების სამინისტროდან.

მატყლის ყიდვა გაყიდვა

პერძო პირთათვის აკრძალულია

სახელმწიფო საწყობში რესპუბლიკის შინაურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მატყლი იყიდება შემდეგ ფასებში:

ა) საშუალო ღირსების, გაურეცხავი მატყლი 4.000 მან.
ბ) სუფთა ახალგორის და სხვა რაიონების 4.500 მან.

კოოპერატივები და სხვა ორგანიზაციები **ვალდებული არიან** ადგილობრივ **გაყიდონ მატყლი მომხმარებელზე, გადატანის ხარჯების და 10 პროც. საორგანიზაციო ხარჯების დამატებით.**

ყველანი მოქალაქეს (მომხმარებელს) უფლება აქვს თვალყური ადევნოს, რომ მატყლის გამყიდველმა ორგანიზაციამ გადასატანი ხარჯები გაზვიადებულად არ იანგარიშოს.

მატყლის გამყიდავი ორგანიზაციები ვალდებულნი არიან მატყლი თვით მომხმარებელს ჰიჰყიდონ და ნორმალურად გაანაწილონ მატყლი თავიანთ რაიონში.

შენიშვნა: სართავ-საქსოვი ფაბრიკები მატყლს მიიღებენ სამინისტროს საწყობიდან.

მომარაგების სამინისტრო.

ნაციონალური პარტიის კონფერენცია

შესდგება თბილისში 23 ოქტომბერს (ღვინობისთვის 10 ძვ. სტ.)

დღიური წესრიგი:

I. მთავარი კომიტეტის და ფრაქციის მოქმედების მოხსენებანი.
II. პროგრამისა და წესდების განხილვა.
III. სამაზრო მოხსენებანი (დელეგატებისა).
IV. საერთო და საპარლამენტო არჩევნების სამზადისი.
V. არჩევნები მთავარი კომიტეტისა
VI. მიმდინარე საკითხები.

კონფერენციის წევრთა რიცხვად დაწესებულია 100

კონფერენციის წევრებად უნდა იქნან არჩეული ის პირნი, რომელნიც დასახელებულ იქნებიან პარლამენტის საარჩევნო სიაში.

კონფერენციის დელეგატთა ალაგები განაწილებულია მაზრებს შორის დამთუძნებელი კრების აირჩევნებში მიღებულ ხმების მიხედვით (ასზე—ერთი)

მთავ. კომიტ. პრეზიდიუმი

კონფერენციის სხდომები გაიმართება ქალაქის საბჭოს დარბაზში.

კონფერენციაზე დასწრება შეუძლიათ არა დელეგატებსაც—პარტიის წევრთ; ბილეთების მიღება შეიძლება მთავარ კომიტეტში (წყნეთის ქ. № 17 ბინა 2 დილის 11 საათამდის)

მენშევიზმისაგან გულოვანებისაკენ!

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ჩვენი მენშევიკების „მოღვაწეობამ“ საქართველო, ოვით მთავრობის თავჯდომარის სიტყვით, კატასტროფამდინ მიიყვანა, ამ შემთხვევაში ქართული ხალხი ყოველად მომთმენი გამოდგა და ამის მიზეზი გახლავთ ამ ხალხის ისტორიული ტრადიცია, მამულიშვილობა და უაღრესი პატრიოტიზმი.

ხალხი, რომელსაც ისტორიულად სისხლ-ხორცში გამჯდარი ჰქონდა საქართველოს თავისუფლების, სამშობლოს დამოუკიდებლობის იდეა, ყველაფერს ცრიგდებოდა, თუმცა კარგა ხანია აშკარად ხედავდა იმ უკუღმართ გზას, რომელსაც მმართველი პარტია დაადგა დღიდან დამოუკიდებლობის გამოცხადებისა...

გადაჭრით შეიძლება „ითქვას, რომ არც ერთი ერი დედამიწის ზურგზედ ასე უსიტყვოთ არ შეურიგდებოდა იმ სოციალისტურ ექსპერიმენტებს, რომელსაც ჩვენი მმართველი პარტია აწარმოებდა მეტადრე სამეურნეო და სამეწველო სფეროში.

ამ გარემოებამ დაბადა ის ჭეშმარიტად გარეგნული მხრივ დიადი სურათი, რომელსაც არ შეიძლება შორიდან არ მოეხიბლა ყოველი ევროპიელი სოციალისტი.

ამ გარემოებამ ეახადა ჩვენი მხარე ერთგვარ „ოაზისად“ იმ ვრცელ და ბნელ უდაბნოში, რომელსაც რუსეთს უძახიან.

ჩვენ კი კარგათ გვესმოდა ქართველი ერის გულის ცვენა, მისი გულის წადილი...

ჩვენ ქართველ ერთან ერთად იმედებს არა ვკარკავდით, რომ ბოლოს და ბოლოს ქართველი მენშევიკები საქართველოს დამოუკიდებლობას და მის საბჭოთა-წიფოებრივობის განმტკიცებას შესწირავდენ თავის მკვდარ დოგმებს. გამოფხიზლდებოდენ და ანგარიშს გაუწევდენ იმ ეროვნულ დრამას, რომელიც ასე ერთიანებდა და აერთსულოვნებდა მთელ ქართველ ხალხს.

ეს იმედები ამ ბოლო დროს თითქმის გვიცრუვდება. ვინაიდან ჩვენი სოციალ-დემოკრატები არ ადგებიან იმ ერთად-ერთ გზას, რომელსაც ჰქვია ევოლიუცია და რომელსაც კიდევ შეუძლია ჩვენი ერის ხსნა. საზოგადოთ ცნობილია რომ არც ერთი ექიმი მძიმე და საეჭვო აპერაციას არ გაუკეთებს თავის მახლობელ მეგობარსაც კი, არამც თუ თავის საყვარელ შვილს ანუ დედას.

ევროპიელ სოციალისტების პრაქტიკისათვის ამ გვარი საეჭვო აპერაციებისთვის წარმოება უცხო საქართველოს ცოცხალ სხეულზედ, რასაკვირველია. გამოსავალიც არის და ლეგალ-ადვილიც ვიდრე თავიანთ მშობელ ხალხზედ.

და იმას, რაც მათ თავის ქვეყანაში ჯერ არ გამოუცდიათ და რის გამოცდას იქ ვერც გაბედავენ, აქ, ჩვენ სამშობლოში, ჩვენი მენშევიკების წყალობით ასრულებენ.

იუნლებითი შინაური სესხი, სხვის ბიბეში ფათური, ძალმომრეობა, ჯერ

კლუბების და რესტორანების დაკეტვა, მერე ყოველგვარ სავაჭრო დაწესებულებების მისპობა...

რა ჰქვია ამას, თუ არ ბოლშევიზმი? რა არის ეს, თუ არ საქართველოს ნამდვილი დაღუპვა, თუ არ სახელმწიფოს ბოლშევიკური განადგურება?!

ამერი.

პრესსა.

ირრედენტისთვის.

გაზეთი „ბარიკადი“ სწერს:

„ქართულ ირრედენტას უკვე თავის ისტორია აქვს. ქართული საზოგადოებრივი აზრი დაიმახსოვრებს იმ ძალადობას რომელიც საქართველოს ოფიციალურ მთავრობის წარმომადგენელმა ქ. ბათომში და მის ოლქში ბ. ბ. ჩხიკვიშვილმა იხმარა, როცა დაკეტა ერთად ერთი ქართული გაზეთი ბათუმში „მთლიანი საქართველო“ ტიციან ტაბიძის წერილისთვის „ირრედენტა“. ამ წერილში იყო გალაშქრება ოსმალეთის ნაციონალისტების წინააღმდეგ, რომელთაც ქემალ ფაშა მეთაურობს და ის აზრი იყო გატარებული, რომ ეფემერული ოსმალეთის იმპერია ვერ მოინელებს საქართველოსთვის უდავო ტერიტორიას, როგორც ლაზისტანი და ტრაპიზონია, რომ ქართველი ჯარი დააბრუნებს ჯვარზე გაკრულ ნახევარ მთვარეს ძველ ტანჯვას. საგანგებო კომისარის იმ ბრძანებაში, რომელიც გაზეთს ჰხურავდა. ეს წერილი პროვოკაციულათ არის ნახსენები და ქემალფაშა გამოცხადებულია საქართველოს კეთილად განწყობილ მეზობლათ.

თავიდანვე ცხადი იყო კომისარის ეს ბრძანება გაუგებრობაზე იყო ნაშენები. ქემალ ფაშა არასდროს არ ყოფილა საქართველოს მეგობარი. ეს აღნიშნა კიდეც ქართულმა პრესამ: „საქართველოში“ და „კლდეში“. საკმაო იყო რამოდენიმე კვირა, რომ გამოცხადდა, თუ რა მეგობარი ყოფილა ქემალფაშა საქართველოსი. გაზეთ „მთლიან საქართველოს“ დახურვის დღიდან დღევანდლამდე საქართველოს ოსმალეთთან არაფერი ახალი დიპლომატიური შეხვედრა არ ჰქონია. მაგრამ ქემალ ფაშას ბაშიბუზუკები თავს დაესხნენ სომხეთს. ტფილისის და საქართველოს სხვა ქალაქებში სომხები მართავენ გრანდიოზულ მანიფესტაციას ოსმალეთის წინააღმდეგ, და დამფუძნებელ კრების თავმჯდომარე ბ-ნი ალექსანდრე ლომთათიძე რისხვის სიტყვას ამბობს ოსმალეთზე.

აქ არა თუ დარღვევაა კეთილმეზობლობის, არამედ ნეიტრალიტეტის დარღვევაც არის. ეს ტონი შემდეგ გადაედო ქართულ პრესას.

ჩვენ გვახარებს ქართული პრესის ერთსულოვანი გალაშქრება ქემალფაშას წინააღმდეგ, ამით კეთდება ის საქმე, რომელიც „ირრედენტა“-ში იყო წამოყენებული. მართალია შემდეგ გამოირკვა, რომ იმ სტამბაში სადაც იბეჭდებოდა გაზეთი „მთლიანი საქართველო“ და იმ ფორმატით ეხლა გამოდის მენშევიკების ოფიციოზი „ბათუმის გაზეთი“, გამოირკვა ისიც, რომ ამ გაზეთისთვის მთავრობა აძლევს ხაზინიდან სუბსიდიას, 300 ათასს მანეთს თვეში რომელიც წინათ „სამუსლიმანო საქართველოს“ ეძლეოდა მაგრამ განა არ შეიძლებოდა ამ ოპერაციის მოხდენა უდემონსტრაციოთ? ყველაფერი ეს წარმავალია, მხოლოდ რჩება უდრეკი ნება მთლიანი საქართველოსი თავისი სხეულის გამრთელებისათვის, და გარდუვალი ირრედენტა:

ლაზისტანი და ტრაპიზონი.

ეს ირრედენტა პირველათ ქართულმა მწერლობამ აღნიშნა“...

უცხოეთის დეპეშები

ერთა ლიგის სხდომა

შეადგინეს შემდეგი სხდომის პროგრამა. სხდომა უნდა შესდგეს ბრიუსელში გიმანსის თავმჯდომარეობით. „ტაიმს“ ცნობის თანახმად, განხილულ იქნება პოლონელ-ლიტვის საკითხი რომლის შესახებ ორივე მხარე მოხსენებას გააკეთებს მოსაზღვრე ხაზის საკითხს უკვე იხილავს საგანგებო კომისია. მოისმენენ აგრეთვე ინგლისის პირველ მოხსენებას ალანდიის კუნძულების შესახებ. ერთა ლიგის პირველი სხდომა, რომელიც ვილსონის მიერ მოწვეულია ნოემბრის 15 ჟენევაში, საბჭოთა განხილვის საგანს შეადგენს ნედლი მასალის მონაპოლიის შესახებ საკითხის აღძრავს იტალია-სომხეთის შესახებ მოხსენებას გააკეთებს იტალიის წარმომადგენელი, მოხსენებებს გააკეთებენ დანციგისა და სხვა საკითხების შესახებ.

ოსმალეთის ახალი სამინისტრო

საფრანგეთის პრესა ფიქრობს, რომ ტევთიკ-ფაშას დაავალებენ ახალი კაბინეტის შედგენას, რადგანაც დამად ფერიდის კაბინეტი გადადგომას აპირებს.

ტევთიკ ფაშის პროგრამის თანახმად ოსმალეთის ნაციონალისტებმა უნდა აღიარონ სევრის ხელშეკრულება.

გერმანული ცნობები.

რუსის ბოლშევიკები ბერლინში.

კომუნისტური ინტერნაციონალის გერმანული სექცია შეიკრიბა დღეს მიტინგზე ზინოვიევის სიტყვის მოსასმენად. ზინოვიევი ავადმყოფობის გამო მიტინგზე არ გამოცხადებულა. გერმანიის მთავრობამ ზინოვიევს და ლოზოვსკის წინადადება მისცა დასტოვონ გერმანიის საზღვრები.

ზემო სილეზია.

კანცლერმა ფერენბახმა ზემო სილეზიის შესახებ გამოუშვა მოწოდება, რომელშიაც იგი ირწმუნება, რომ გერმანიის მთავრობა ამ ჟამად უფრო მეტ ანგარიშს უწევს ზემო სილეზიის თავისებურობას, ვიდრე ამდენ ხანს უწევდა. თუ სილეზია პლებისციტით გერმანიასთან დარჩენას გადასწყვეტს, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მიიღებს ყველაფერს, რის მიცემაც კი შეეძლება გერმანიის კონსტიტუციის ძალით.

გერმანიის მეცნიერთათვის.

ჰოლანდიის გამოჩენილმა მეცნიერებმა მოწოდებით მიმართეს მეცნიერთა წრეებს გერმანიის მეცნიერების დამხმარე ფონდის მოწყობის შესახებ. ეს გამოწვეულია. მით, რომ გერმანიას არ შეუძლია თვითონ შეიძინოს საჭირო წიგნები და ინსტრუმენტები.

საბერძნეთის ელჩი.

საბერძნეთის ელჩმა ალექსანდრეიმ გერმანიის პრეზიდენტს რწმუნებულობა ჩააბარა.

საქსონიაში.

საქსონიაში გაფიცვები დასრულდა. დრეზდენისა და ლაიპციგის მუშებმა მუშაობა დაიწყეს.

თბილისის სააგ. ცნობები

გუჩკოვი

პარიზი. ა. ი. გუჩკოვმა ერთ-ერთ იგი გაზეთის თანამშრომელს განუცხადა, რომ ვრანგელის მიერ გაწვეულია ყირიმში და რომ ის მზათ არის მიიღოს ყოველ გვარი წინადადება, რომელსაც კი მას ვრანგელი გაუკეთებს, რადგანაც რუსეთის თანამედროვე მდგომარეობა ყოველგვარ მსხვერპლს მოითხოვს.

საბერძნეთის არჩევნები

ათინა. საბერძნეთის პარლამენტში სულ 369 დეპუტატი უნდა შევიდეს: აქედან 317 ძველი პროვინციებიდან და 52 კი აღმოსავლეთ და დასავლეთ თრაკიის ახალი ოლქებიდან. დეპუტატთა უმეტესობას იძლევა სალონიკი (32 დეპუტატს).

სასმელები ინგლისში

ლონდონი. ტრედ-უნიონების კონგრესზე გააკეთეს დეკლარაცია მაგარი სასმელების ნაციონალიზაციის აუცილებლობის შესახებ.

შაქრის ფასები

სასურსათო მომარაგების სამინისტრომ ოფიციალურად განაცხადა, რომ მიმდინარე ზამთარში ინგლისი შაქრით უზრუნველყოფილია, მაგრამ შაქრის ფასი კი არ დაიწევს.

ინგლისი და ბოლშევიკები

„ტაიმსი“ იუწყება: ამ ახლო მომავალში ინგლისი არ ფიქრობს, რომ ბოლშევიკებთან რაიმე შეთანხმება მოახდინოს. ბოლშევიკ დელეგატების ყოფა ქცევამ შეუძლებელი გახადა არა თუ პოლიტიკური, სავაჭრო ხელშეკრულების დადებაც კი.

ნორვეგიელთა ექსპედიცია რუსეთში

„ტაიმსი“ იუწყება: ნორვეგიის ვიცე-კონსულმა ვალიასკიმ ოფიციალურად აუწყა მთავრობას, რომ ჩრდილოეთის ექსპედიციის ორი მონაწილე ტესენნი და კუდსენი, რომელნიც ციმბირის ნაპირზე გადმოსხდნენ, ბოლშევიკებმა დახვრიტეს. საბჭოთა მთავრობის მტკიცებას, რომ ტესენი და კუდსენი ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალნენ, ამინდენი, რომელიც ექსპედიციის ხელმძღვანელი იყო, კატეგორიულად უარყოფს.

შრომის ბეგარა გერმანიაში.

ბერლინი. გერმანიაში საყოველთაო შრომის ბეგარა შემოაქვთ. ყველა პირი, რომელიც არ შრომობს, ბავშვებსა და მოხუცებს გარდა ვალდებული არის სახელმწიფო დაწესებულებებსა და წარმოებებში იმუშაოს. მამაკაცებმა უნდა იმუშაონ ერთ წელიწადს, ქალებმა კი 6 თვეს.

ბოლშევიკები და გერმანია.

ლონდონი. „ტაიმსი“ იუწყება: საბჭოთა დელეგაცია, რომელშიც 15 წევრი შედიოდა და რომელიც ევროპის ჩრდილოეთ სახელმწიფოში მოგზაურობდა, საშინლად დამარცხდა ბერლინში. რუსი დელეგატების ტრიუმფალურ გამოსვლებს შელითონეთა ერთ-ერთ რიცხოვან მიტინგებზე სტვენით შეხვდნენ. ლოზოვსკის ვრცელმა სიტყვამ რუსეთის პროფესიონალურ კავშირთა მდგომარეობის შესახებ გერმანიის დემოკრატიაზე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა. საბჭო-

უკანასკნელი ცნობები

23 ოქტომბერს იკრიფება რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი პოლონეთთან და ფინლანდიასთან საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციისათვის.

თბილისში ჩამოვიდა ბოლშევიკური რუსეთის ახალი ელჩი შეინმანი.

ოსმალეთში ახალი მთავრობა შესდგა.

ჯარში გაწვევის შესახებ

გენერალური შტაბი აცხადებს, რომ თანახმად 1919 წლის 31 ივლისის შეიარაღებულ ძალთა და სამხედრო ბეგარის კანონისა, 1900 წელში დაბადებულთა მორიგი გაწვევა ჯარში დაიწყება ამა წლის 15 ნოემბერს.

რესპუბლიკის ყველა 1900 წელში დაბადებულნი მოქალაქენი გარდა იმ ახალგაზრდებისა, რომლებიც ამ ჟამად უკვე მსახურობენ ჯარში და აგრეთვე მათზე უფროსებიც, რომლებსაც ზარზან ვადა გაუდიოდა, ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ იმ მაზრის სამხედრო აღრიცხვის განყოფილებაში, სადაც სიები შეტანილია გაწვევის სიებში.

აგრეთვე ვალდებულნი არიან გამოცხადდნენ ის სამხედრო ვალდებულნიც, რომლებიც მიზეზების გამო არ არიან შეტანილნი გაწვევის სიებში.

გამოცხადების დღე იქნება გამოქვეყნებული თავის დროზე სამაზრო ერობათა და თბილისის ქალაქის გამგეობის მიერ.

ნებადართულია გამოცხადება უახლოეს სამხედრო აღრიცხვის განყოფილებაშიც, დროებით საცხოვრებელ ადგილის მიხედვით, მაგრამ, ამ შემთხვევაში ახალ გაწვეულმა არა უგვიანეს 1 ნოემბრისა უნდა წარუდგინოს სამხედრო აღრიცხვის განყოფილების უფროსს, სადაც მას სურს გამოცხადება: 1) ამონაწერი თავის თავზე გაწვევის სიიდან და 2) პირადობის მოწმობა თავის სურათით.

თა მთავრობის პრესტიჟი საბოლოოდ დაეცა მას შემდეგ, რაც რუსეთიდან დაბრუნებულმა დრეზდენელმა ანარქისტმა რეხლემ მოხსენება გააკეთა. ამ მოხსენება გააკეთა. ამ მოხსენებაში ის ამტკიცებდა, რომ რუსეთის საბჭოთა მთავრობა დიდი ხნის სიცოცხლის უნარი არა აქვსო.

შვეცია და რუსეთი.

სტოკჰოლმი. შვედ-მემადაროეთა და შრომის გენერალური ასოციაციის კონგრესმა ხმის დიდი უმრავლესობით უარყო რუს-კომუნისტ მუშებისადმი თანაგრძნობის გამოცხადების წინადადება.

მემადაროეთა გაფიცვა ინგლისში.

ლონდონი. „ტაიმსი“ გადმოგვცემს: ინგლისის ნახშირის მრეწველობაში მომხდარ კონფლიქტს მხარს უჭერს ევროპის უკიდურეს წარმომადგენელთ ხმის მცირე უმეტესობა. ლოიდ-ჯორჯმა თანხმობა გამოაცხადა მემადაროეთა ხელფასის გადიდებაზე იმ პირობით, რომ შრომის ინტენსიფიკაცია მოხდება: ლოიდ-ჯორჯის წინადადებით უნდა შემოიღონ პრემიალური სისტემა, რომელიც მემადაროეთა კონფერენციამ უარყო. მუშები მოითხოვენ, რომ ყოველ ტონა ნახშირზე მაორი შილინგი მიემატოთ.

დონის ოლქში

პარიზი.— „პასლედნია ნოვოსტი“ იუწყება: მთელი დონეცის ხეობა ტაგანროგის ოლქის ნაწილთან და დონის ოლქის სამრეწველო ნაწილთან ერთად ცალკე ადმინისტრატიულ ერთეულად არის გამოყოფილი. სავუპერნიო ქალაქს ლუგანსკი წარმოადგენს. ქვანახშირი თითქმის სრულიად არ მოიპოვება. დიდ მადაროებში მუშაობა აღარ არის. მუშახელის ნაკლოვანების გამო მიღებულია გადამწყვეტი ზომები მუშების შესაკრებად. თუ მუშამ გამოტოვა სამსახური ორჯერ, ისე რომ საპატიო მიზეზი არ ექნა, დაჭერილი იქნება. მუშები „მეშოჩნიკებად“ გადაიქცნენ. ყიდიან ფქვილ მარილს, ვინაიდან მოსკოვში ფუთი მარილი 40000 მან. ღირს. მარილის საშინელი ნაკლოვანება არის მიზეზი ბავშვების გადაგვარებისა მოსკოვში.

ქრონიკა.

რკინის გზებზე

მატარებელს ამცირებენ; დაითხოვნილ იქნება მოსამსახურეთა ნახევარი.

მასწავლებელთა კრებაზე

თბილისის მასწავლებლებმა „უკმაყოფილების“ რეზოლიუცია გამოიტანეს განათლების მინისტრის მიმართ, რომელიც კრებაზე არ მივიდა, თუმცა სთხოვეს მობრძანება.

ბაზრის ფასები.

ბაზარში შემდეგი ფასები არის: ხორცი 80—90 მან. გირვანქა, ცხვარის ხორცი 110 მან. გირვანქა, ქათამი 500 მან., ინდაური 700 მან. ბატი 600 მან. იხვი 260 მან. ხიზილალა გირვანქა 1200 მან. ცოცხალი თევზი 280 მან. კარაქი 450 მ. სამარხო ერბო 400 მ. ყველი 220—280 მან. თეთრი ფქვილი 5600 მან. ფუთი, ადგილობრივი ფუთი 3200 მან., სიმინდის ფქვილი 1800 მ., პური 2500 მან., ადგილობრივი 2400 მან., სიმინდი 900 მან., წითელი ლობიო 1200 მან. თეთრი 1300 მ., სპარსული ბრინჯი 9500 მან., ჩინური ჩაი გირვანქა 700 მან., ცეილონის 550 მან., თაფლი 280 მან., ყავა 550 მან. ხახვი 30 მან., გირვანქა. კომპოსტო 400 მან. ნიგოზი ფუთი 2000 მან., წვრილი ახილი 900 მანეთი.

წყალტუბოს აბანოები.

მიწად მოქმედების სააგარაკო კომისიამ ოქტ. 15 იანახულა წყალტუბოს სამკურნალო წყლები, სადაც იგი გაეცნო წყლების მდგომარეობას. წელს აგარაკი ოქტ. 15 ცხრა ათასამდე ავადმყოფმა მოიარა. ყველა ბინა დაკავებული იყო და ზოგიერთ ავადმყოფს აივანზე და ცის ქვეშ ცხოვრება მოუხდა. ერობის მიერ ვანებზე მინიმალური ფასები იყო დაწესებული. სეზონის ბილეთი ღირდა 30 მან. ვანა—15—20 მან., ოთახი დღე და ღამეში 40—60 მან. ეს მაშინ როდესაც კერძო ბინებში და სასტუმროებში დღეღამის განმავლობაში 300 მან. იღებდენ. ვანების ექსპლოატაციიდან შემოსავალი სეზონის დამლევამდე 1 ნახ. მილ. მანეთს უდრის. ამ ჟამად წყალტუბოში დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი ნ. ლომთათიძე იმყოფება.

სატან-ვარჯიშო ინსტიტუტში

თბილისში სატანვარჯიშო ინსტიტუტი გაიხსნა. ინსტიტუტის დირექტორად ბერელაშვილი დაინიშნა, ინსპექტორად კი ი. ვახეკი. ინსტიტუტის კურსი 8 თვიანია. სწავლა უფასოა. მეცადინეობა სწარმოებს ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათ. 9 ნახ საათამდე. ინსტიტუტი მეორე ვაჟთა გიმნაზიაში არის მოთავსებული.

კორესპონდენცია

ეპისკ. მორიონდო ახალციხეში

8 ოქტომბერს, ახალციხეში გვეწვია რომიდან გამოგზავნილი ეპისკოპოსი გაბრიელ მორიონდო ქართველ კათოლიკეთათვის თვითოეულად შეკითხვად ტიბიკონის გამოსარკვევად, თუ რომელი ტიბიკონის მიღება სურთ მათ, ლათინური თუ ქართული, ე. ი. ბერძნული?..

მოგეხსენებათ, რომ ორი წელიწადია თბილისის ქართველ კათოლიკეთა აგიტატორები დაძვრებოდენ მთელ მესხეთში კათოლიკეთა შორის და ურჩევდენ ყველას ქართული ტიბიკონი არ მოეთხოვათ თუ არ ლათინის ტიპიკონი ეთხოვათ. ამ პროპაგანდას დიდათ ხელს უწყობდა ადგილობრივ კათოლიკეთა კომიტეტის გამგეობის ყველა წევრი ხოლო ამ წევრებთაგან მხოლოდ კოტე გვარამაძე ქადაგებდა წმიდა ქართულ ტიპიკონის მიღებაზე.

ეპისკოპოსის შეკითხვაზე აღმოჩნდა რომ ქართული ტიბიკონი ეთხოვათ უმეტესს ნაწილს და ამიტომაც გაიმარჯვა ქართულმა ტიბიკონმა და დამარცხდნენ ლათინის ტიბიკონის მსურველნი.

კვირას, 10 ოქტომბერს წმიდა იოანე ნათლიმცემლის ეკკლესიაში სწირა ეპისკოპოსმა მორიონდომ და დიდი სიხარულით გამოაცხადა: როგორც პაპის სურვილიც იყო, უმეტესმა თქვენგანმა რა ისურვა ქართული ტიბიკონი, ამისათვის ყველა ქართველი კათოლიკენი დღეის ამიერ ჩამოშორებული ხართ სომხის ტიბიკონიდან და დარჩებით ქართულ ტიბიკონზე, ე. ი. აღმოსავლეთის ეკლესიის წესზე გექნებათ ყოველივე წესრიგი ეკლესიური და წირვა ლოცვა დედა-ენაზე — ქართულად: ამასთანავე პაპის დეკრეტით აღდგენილი იქნება თქვენი საკუთარი ქართული საეპისკოპოსო კათედრა და მანამდე კათედრაზე მოწვეული იქნება ქართველი კანდიდატი საეპისკოპოსოდ, ვიდრე, დროებით მე დანიშნული ვარ პაპისაგან და მე განვაგებ სრულიად საქართველოს ყველა კათოლიკე ქართველთა ეკკლესიურს საქმეებსათ და ბოლოს წაიკითხა პაპის დეკრეტი.

ქართულ ტიპიკონზევე გადადის ჯავახეთის ოთხი სოფლის კარტიკამის, ტურცხის, ბავრის და ხულგუმოს ქართველი კათოლიკენიც, რომელთაც დავიწყებული აქვთ დედა-ენა და თურქულად ლაპარაკობენ. ცხადია, ართვინის და არტაან არტანუჯის ქართველი კათოლიკენიც მოჰყვებიან ამავე ეპარხიაში, რომელთაც დედა-ენა სომხურზე აქვთ შეცვლილი და კიდეც სომხობენ, მარა ჯიბრით სომხობაც არ გამოდგება; მათ სომხურ ენაში ბევრ ქართულსაც ურევენ. მაგ. ბიძან გალისე... დედა გალისე და სხ.

ეპისკოპოსმა მორიონდომ თუმცა ნება მისცა ყველა ჩვენ მღვდლებს ხვალიდგანვე შეგიძლიანთ ქართულად სწიროთო, მარა, განა ასე ადვილია ამის შესრულება. უეჭველად ამას დიდი ხანი დასჭირდება. მართლმადიდებელი მღვდლების წირვას უნდა გაეცნონ კათოლიკის მღვდლები. რაოდენიმეჯერ უნდა უცქირონ და შეითვისონ ყოველნაირი ცერემონიები, რომ შემდეგ თვითონ სცადონ და ამნაირად მოახერხონ. ყოველ შემთხვევაში კათოლიკე მღვდლებმა უნდა მოაწყონ წირვა—ლიტურგიის კურსები მართლმადიდებელ მღვდლების ხელმძღვანელობით. ეპისკოპოსი ორშაბათს 11-ს თბილისს დაბრუნდა.

კათოლიკე.

ქართველ ისრაელთა პრეზისათვის.

(რედაქციის მიმართ წერილებიდან)

„ბრძოლა არსებობისათვის“, აი იდეალი, რომელსაც ატარებს ლოზუნგათ დღეს კაცობრიობა. ამ იდეალის წინაშე ქედს იხრიან დიდი და პატარა ერები. უკანონოთ აშენებულ რუსეთის სახელმწიფოს ნანგრევებზე აღმოცენდა პატარა ერების სახელმწიფოები და მათ შორის ჩვენი საქართველოც. საქართველომ შესაფერი ეგზამენი დაიჭირა სახელმწიფოებრ გამოცდილებაში. მან სხვა მრავალ საქმეთა შორის შეასრულა პირველათ ის, რაც მოეთხოვებოდა დემოკრატიულ რესპუბლიკას. მან აირჩია დამფუძნებელი კრება კონსტიტუციის შესადგენად. დამ. კრების საკონსტიტუციო კომისიას მზათ დახვდა საქართველოში მცხოვრები თითქმის ყველა ერის შემუშავებული პროექტები თავიანთ უფლებათა და ისინი წარუდგინეს კიდეც, რაცაც საჭირო იყო!.. ჩვენ კი? საქართველოს ისრაელობამ ჩვენც შევიმუშავეთ ჩვენი მოთხოვნილება?.. ისედაც ჩაკრულსა და დევნილს ამის საშუალებაც არა გვქონდა!.. რაა მიზეზი? უთაურობა! სად არიან ამ საბედისწერო წამებში ჩვენი ნამდვილი მეთაურები? სად გაჰქრნენ? ან და იმათ ხომ არ ჩავთვლით „მეთაურებათ“, ვინც ჩვენი სახელით პოტინობენ და ძვრებიან ყველგან სადა თავიანთ „ბოხ ხმას“ გააწვდენენ? ქართული ანდაზაა: „უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაპატრონებიანო“. ასე დაგვემართა ჩვენ. საიდანღაც გამოძვრნენ „აგუდათ იზრაელი ტიკნები“ ქუთაისის რაბინი ელიაშვილის სათავეში, რომელნიც მთელი საქართველოს ისრაელების სახელით წარუდგნენ საკონსტიტუციო კომისიას!.. ქუთაისის რაბინმა საჭიროთ არა სცნო ზ ე დ მ ე ტ ი უფლებები.— „ისიც კმარა, რაც მოვითხოვეთო“—ბრძანა საქართველოს ისრაელების დესპოტმა ელიაშვილმა. მან ისრაელობა და სახელი მისი წინამძღოლი რაბინისა ანაცვალა მოფერებას. მას, როგორც ძველ ფანატიკოსს, სურდა თავისი დანგრეული ავტორიტეტის აღდგენა და თითქოს მიზანსაც მიაღწია. მეორე მხრით გაჩნდნენ სიონისტები თბილისის ისრაელთა ეროვნული საბჭოს სახით და დაიწყეს ამათაც „თავიანთისებური ხლოფოთი“. მაგრამ განა მარტო ეს ორი ჯგუფი იბრძოდა ჩვენი მომავალისათვის?!.. „ბედნიერნი“ ვართ, რადგან ბევრი გაგვიჩნდენ „არა მკითხე აპეკუნები“. მესამე მხრით „ახალგაზდა ხელოვნების ასიმილატორები ხანანაშვილების დროშით“. რა მწარეა ამდენი გზააბნეული ვაჟბატონების მიერ ჩვენი ინტერესების დაცვა!.. როგორი უნდა იყოს საშუალო გზა, ნათელი და გამორკვეული საქართველოს ისრაელობისათვის? მან დაუყონებლივ უნდა აღიაროს, რომ ეს „სამგვარი ბატონ-პატრონები“ ან და „გულშემტკივრები“ არ არიან მისი სურვილების გამომხატველნი. მას შეუძლია თავის თავის ბატონ-პატრონობა!

დეე იცოდეს საკონსტიტუციო კომისიამ, რომ საქართველოში არის ქართველი ისრაელი. მაშ არც ერთი „ლიშნი ვაჟბატონი“ არ იქნეს ნაცნობი ჩვენს წარმომადგენლათ. საჭიროა საჩქაროთ მოხდეს დემოკრატიული წესით არჩევნები მთლიანი საქართველოს ისრაელთა კრებისა. აი ეს კრება და იქ გამოტანილი გადაწყვეტილებანი იქნება საქართველოს ისრაელების სურვილის გამომხატველი. აქ შემუშავებული უფლებები იქნება ჩვენი მოთხოვნილება და არა ის უფლებები, რომლებსაც „არა მკითხე ვაჟბატონები“ იმუშავებენ. და მანამ ეს კრება არ შესდგება, დეე იცოდეს საკონსტიტუციო კომისიამ რომ ჩვენს მანდატს არავის ვაძლევთ. მაშ საქმისაკენ ენერგიულათ, ძმებო! თქვენ დაანახვეთ ყველას, რომ თქვენ ძველებურათ აღარ ხართ სხვების საპეკუნოთ. გამოიღვიძეთ! კმარა ამდენი სალი ძილი! შეუდექით დაჩქარებით ამ კრების მოწვევას! თქვენ თითონ მოუარეთ თქვენ საქმეს და „გზააბნეულ აპეკუნებს“ განზე გადგომა უსურვეთ. თქვენ შესძახეთ იმათ; „შორს მოდალატენო, მომტყუებლებო ავტორიტეტების აღდგენისათვის, მოგვცილდით, თავი დაგვანებეთ! ჩვენ თვითონ მოვუვლით ჩვენ საქმეებს, ჩვენ თვითონ წარვუდგებით ქართველ ერს და ისეთ უფლებებს მოვითხოვთ, რომელიც იქნება ჩვენთვის საჭირო“... მაშ საქმისაკენ! როგორ?—ამაზე შემდეგ.

პერ—ბა.

საქონლის ჭირთან ბრძოლის წესდება

1. საქონლის პატრონი მოვალეა დაუყონებლივ აცნობოს ადგილობრივ ერობის გამგეობას ანუ პირდაპირ ექიმვეტერინარს, როდესაც მის საქონელში აღმოჩნდება საეჭვო ავადმყოფი გადამდები სენის ნიშნებით, ან უეცრად მომკვდარი.

2. ერობის გამგეობა, მიიღებს რა განცხადებას ავადმყოფ, ან მომკვდარ საქონლის შესახებ, მოვალეა დაუყოვნებლივ აცნობოს ადგილობრივ ექიმ-ვეტერინარს დეპეშით, ან ტელეფონით, ან საგანგებო კაცის გაგზავნით და მის მოსვლამდის კი მიიღოს შემდეგი წინასწარი ზომები: ა) გამოაცალკევოს სალი საქონელი ავადმყოფიდან, ბ) ჩამარხოს მკვდარი საქონელი განცალკევებულ ადგილას, რომელიც შემოფარგლული უნდა იყოს არხით ან ღობით, გ) აკრძალოს საქონლის გადარეკვა და საქონლის ნედლი მასალის და აგრეთვე თივის, ჩალის და ბზის გატანა სხვა სოფელში.

3. ექიმი ვეტერინარი ცნობის მიღებისთანავე საქონლის ავადმყოფობის შესახებ მოვალეა მიაშუროს იმ ადგილს, და ერობის წარმომადგენლის და ორი საქონლის პატრონის თანდასწრებით გასინჯოს ავადმყოფი საქონელი, თუ არის მომკვდარი—გასჭრას სენის გამოსაკვლევად.

4. იმ შემთხვევაში, როდესაც გარეგანი ნიშნები დაავადებულ საქონლისა ნათლად არიან გამოსახულნი და ექიმ-ვეტერინარი მოკლებულია საშუალებას გამოსთქვას საბოლოო აზრი ავადმყოფობის შესახებ, დაავადებული საქონელი გამოცალკევდება და მკაცრს ვეტერინარულ ზედამხედველობის ქვეშ რჩება იმ დრომდე, ვიდრე არ გამოაშკარავდება ავადმყოფობის ხასიათი; თუ შესაძლებელია, მოიწვევს მახლობელ მეზობელ ექიმ-ვეტერინარს სენის გამოსარკვევად.

4. როდესაც გამოირკვევა საქონელზედ ჭირის არსებობა, ექიმ-ვეტერინარი დაუყონებლივ წარუდგენს ამის შესახებ მოხსენებას შინაგან საქმეთა სამინისტროს ვეტერინარ-სანიტარულ განყოფილებას და ერობის გამგეობას, აცნობებს აგრეთვე მეზობელ რაიონების ექიმ ვეტერინარებს, იწვევს ჭირის მომსპობ აღმასრულებელ კომისიას და აწესებს კანონით და ამავე წესდებით ნაჩვენებ ზომებს ჭირის მოსასპობად.

6. ჭირიანი საქონელი აიცრება კომბინაციური მეთოდით (შრატით და სისხლით). აცრა სავალდებულოა დაჭირიანებულ სოფლის ყველა მსხვილ ფეხა რქიან საქონლისა, ნაწილობრივ კი ადგილობრივ პირობების მიხედვით და თუ სოფლის ყველა საქონლისთვის საკმაო შრატი არ მოიპოვება, იმ შემთხვევაში, როდესაც ეკონომიურ მიზეზების გამო შეუძლებელია დაჭირიანებულ სოფლის საქონლისაგან მახლობელ სოფლის საქონლის მოშორება, ეს სოფელიც შეუერთდება დაჭირიანებულ სოფელს და იქაც აუცილებლივ აიცრება საქონელი.

7. დაჭირიანებულ სოფელში აშკარად ავადმყოფი და სიცხე აწეულ საქონელი ცალკევდება და თავსდება განსაკუთრებულ ბოსელში, ან მოღობილში.

შენიშვნა 1: დაჭირიანებულ სოფელში აშკარა ავადმყოფად ჩაითვლება ის საქონელი, რომელსაც აწეული სიცხის გარდა ექნება გარეგანი ნიშნები ჭირისა.

შენიშვნა 2. სიცხე აწეულად ჩაითვლება ის საქონელი, რომელსაც ექნება სიცხე 40 გრადუსამდე და მეტიც ცელსით.

8. აღმასრულებელ კომისიაში შედიან ექიმი-ვეტერინარი როგორც თავმჯდომარე, ერობის გამგეობის წარმომადგენელი (ქალაქებში თვით მართველობის წარმომადგენელი) და ორი ადგილობრივი საქონლის პატრონი ამორჩეული მცხოვრებთაგან. აღმასრულებელი კომისიის მოქმედება გრძელდება საკარანტინო წესების მოხსნამდის. კომისიის მოქმედებას არ აბრკოლებს ერთ-ერთი წევრის არ დასწრება, გარდა ექიმ ვეტერინარისა. კომისიას ყველა თავის განაჩენი შეაქვს ოქმში, რომელზედაც ხელს აწერენ იქ დამსწრე წევრნი. ასლი ოქმისა დაუყონებლივ ეგზავნება ერთი—შ. ს. ს. ვეტერინარ-სანიტარულ განყოფილებას და ერთიც ერობის გამგეობას.

9. დაჭირიანებულ სოფელში აღმასრულებელი კომისია მოვალეა დაუყონებლივ მიიღოს შემდეგი ზომები:

ა) აღნიშნოს დაჭირიანებულ სოფლის საზღვრები, დააწესოს ამ საზღვრებში კარანტინი და მასზედ თვალყურის დაჭერა დაავალოს მცხოვრებთ.

ბ) შეადგინოს საქონლის საკომლო სია და დააწესოს საქონელზე სავეტერინარო ზედამხედველობა.

გ) აირჩიოს შესაფერი ადგილი საქონლის ლეშის ჩასამარხათ.

დ) დააწესოს სავალდებულო აცრა დაჭირიანებულ სოფლის საქონლისა.

ე) აირჩიოს შესაფერი ადგილი საქონლის დასაბმელად და ასაცრელად. იზრუნოს ასაცრელი იარაღების, შრატის და სხვა ასაცრელ მასალების შენახვაზე.

საქონლის აცრის დროს ექიმ-ვეტერინარმა უნდა იხელმძღვანელოს შ. ს. ს. ვეტერინარ-სანიტარულ განყოფილების ინსტრუქციით, რომელიც დამტკიცებულია შინაგან საქმეთა მინისტრისაგან, 5 ივნისს 1920 წ.

შენიშვნა: მუშა ხალხი, ცხენები, შესაბმელი საქონელი, თოკები, ხარიხები საქონლის დასაბმელად, ბინა, გათბობა, განათება და მოსამსახურე, რაც საჭიროა კომისიისთვის მუშაობის დროს კარანტინის მოხსნამდე, შეადგენს სოფლის მოვალეობას.

ვ) გასინჯოს და გამოარკვიოს ვეტერინარ-სანიტარული მდგომარეობა იმ სოფლებისა, რომლებსაც რაიმე ეკონომიური კავშირი აქვთ დაჭირიანებულ სოფელთან და ეჭვს ბადებენ საქონლის ჭირის არსებობისას. თუ რომელიმე სოფელში აღმოჩნდა საეჭვო ავადმყოფი საქონელი, ეს საქონელი უნდა გამოაცალკევოს დანარჩენ სოფლის საქონლიდან და დააყენოს განსაკუთრებულ ვეტერინარ-სანიტარულ ზედამხედველობის ქვეშ. ამგვარი გასინჯვა-ძიება უნდა დამთავრდეს დაჩქარებით.

ზ) როდესაც აცრა რაიმე მიზეზით შეუძლებელია, აღმასრულებელი კომისია ახდენს საქმიანი იზოლიაციას ავადმყოფ საქონლისას და აწესებს საზოგადო კარანტინს.

10. დაჭირიანებული სოფლიდგან რქიან მსხვილ საქონლის გადარეკა სხვა ადგილას აკრძალულია იმ დრომდის, ვიდრე სოფელი არ იქნება გამოცხადებული სენისაგან განთავისუფლებულად. იმ შემთხვევაში კი, როდესაც აუცილებელია საქონლის გადარეკა ჭირიან ადგილიდან სხვა ადგილას, კომისია ხელმძღვანელობს სამთაბარო საქონლის წესდების მე 12 § ით.

11. საქონლის მორეკა საღ ადგილიდან დაჭირიანებულ სოფელში შეიძლება აღმასრულებელ კომისიის ნებართვით ან დასაკვლელად, ან და ასაცრელად, უკანასკნელ შემთხვევაში საქონლის მორეკა შესაძლებელია იმ პირობით, თუ აცრის შემდეგ მოსახერხებელი იქნება მისი განცალკევებით შენახვა იმავე სოფელში, რათა კარანტინის ვადა სოფლისათვის არ გაგრძელდეს.

12. დაჭირიანებულ სოფელზედ რქიან მსხვილ საქონლის გარეკა აკრძალულია. გარეკა შეიძლება კომისიისაგან ნაჩვენებ მოსავლელი გზით.

13. გატანა დაჭირიანებულ სოფლიდან ტყავისა, ხორცისა, მატყლისა, რქისა, ჩლიქისა, თივისა, ბზისა და ჩალისა შესაძლებელია კომისიის ნებართვით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არ იქნება საშიში ჭირის გავრცელების მხრივ.

14. დიდ ქალაქებში საკარანტინო ზომების მიღება დასაშვებია მხოლოდ დაჭირიანებულ უბნებში კომისიის დადგენილებით.

15. დაჭირიანებულ სოფელში საკლავ საქონელს სინჯავს ექიმი-ვეტერინარი დაკვლის დღეს.

16, საქონლის ბაზრობა როგორც დაჭირიანებულ სოფელში, აგრეთვე იმ რაიონში, რომელიც მიჩნეულია კომისიისაგან საეჭვოდ ჭირის მხრივ, აკრძალულია სენის მოსპობამდის.

17. საქონლის ლეში უნდა ჩაითვალოს მიწაში 2 ნახ. არშინის სიღრმეზე აღმასრულებელ კომისიისაგან ამორჩეულ ადგილზე. ამასთანავე ნება ეძლევა პატრონს ტყავი გააძროს ლეშს მხოლოდ იმ პირობით, თუ რომ ტყავის დეზინფექცია მოსახერხებელი იქნება ექიმ-ვეტერინარის ნაჩვენებ წესით და მისივე პირადი ზედამხედველობით.

შენიშვნა. საქონლის ტყავის დეზინფექციისთვის საჭიროა ერთი ათასპროცენტიანი სულემის ხსნარი, რაშიაც ტყავი დაიტოვება ოცდა ოთხი საათის განმავლობაში.

18. დაჭირიანებულ ადგილებში ბოსლები და საქონლის სადგომები და იქ ნამყოფი საგნები უნდა დასუფთავდეს ექიმ-ვეტერინარის ჩვენებით, უმნიშვნელო იაფ-ფასიანი ნივთები კი შეიძლება დაიწვას შეუფასებლად.

19. ჭირიანი სისხლის ამოსაღებად მოკლულ და აცრის შემდეგ მომკვდარ საქონლის ასანაზღაურებლად ფასი მიეცემა პატრონს კომისიის შეფასებით, რაც არ უნდა აღემატებოდეს კანონით მიჩნეულ უდიდეს ფასს. არ შეიძლება ამ ფულის გადაცემა სახელმწიფო საზოგადო და კერძო გადასახადებში. ფული მიეცემა თვით პატრონს, ან მის რწმუნებულს.

20. თუ აღმასრულებელ კომისიის წევრთა შორის მოხდა უთანხმოება ფასის შესახებ, კომისია უნიშნავს საქონლის პატრონს შენაფასის საშუალო ჯამს.

21. იმ საქონლის პატრონთ, რომელთაც თავის დროზედ არ განუცხადებს კომისიას საქონლის მხრივ საეჭვო ავადმყოფობა, აღარ მიეცემა აცრის შემდეგ მომკვდარ აშკარად ავადმყოფ საქონლის ხვედრი ფასი. არ მიეცემათ ფასი მომკვდარ საქონლისა აგრეთვე იმ პატრონთ, რომელნიც დაუმალავენ კომისიას საქონელს.

22. დაჭირიანებულ სოფელში აუცრელ მკვდარ საქონელში პატრონს ფასი არ მიეცემა.

23. ის ადგილები, სადაც აიცრა საქონელი, გამოცხადდებიან ჭირისაგან განთავისუფლებულად მხოლოდ 14 დღის შემდეგ დღიდგან რეაქციის გათავებისა ან უკანასკნელად მომკვდარ საქონლისა, რომელსაც აშკარად ეტყობა ჭირის გარეგანი ნიშნები.

24. ვიდრე კომისია გამოაცხადებს სოფელს ჭირისაგან განთავისუფლებულად, სოფელი მოვალეა შეასრულოს კომისიის ყველა განკარგულებანი და დადგენილებანი.

25. სოფლისაგან კომისიის ყველა განკარგულების სისწორით ასრულებას თვალყურს ადევნებენ როგორც თვით აღმასრულებელი კომისიის წევრნი, აგრეთვე ადგილობრივი ადმინისტრაცია.—წესების დამრღვეველნი მიეცემიან პასუხისგებაში სასჯელთა წესდების 112 და 113 სტ. მიხედვით.

განყოფილების გამგის თანამდებობის აღმ. დ. ახმეტელი.

რედაქტორი: გრ. ვეშაპელი
სამხ. სამ. სტამბა, ლორის-მელიქ., 3

მატარებლების მიმოსვლა

ოქტომბრის 10-დან 1920 წ.

თბილისიდან გადის

ბათუმამდის	№ 3	10. ს. 58 წ. დილ.
ბათუმში ჩადის		7 ს. 27 წ. დილ.
ფოთამდის	№ 9	5. ს. 34 წ. დღით.
ფოთში ჩადის		10 ს. 45 წ. დილ.
ბათუმამდის ჩქარი	№ 7	10. ს. 28 წ. საღ.
ბათუმში ჩადის		5 ს. 52 წ. საღ.
ბორჯომამდის	№ 19	3. ს. 19 წ. დღ.
ბორჯომში ჩადის		11 ს. 25 წ. დღ.
სალ-ოღლამდის		7 ს. 20 წ. დილ.
სანაინამდის	№ 4	8. დილ.
სანაინში ჩადის		5 ს. საღ.
კახეთისკენ		8 ს. 30 წ. დილ.

თბილისში მოდის

ფოთიდან	№ 10	3. ს. 51 წ.
თფილისში მოდის		9 ს. 16 წ. დღ.
ბათუმიდან	№ 4	4. ს. 9 წ. დილ.
თფილისში მოდის		1 ს. 1 წ. დღ.
ბათუმიდან	№ 8	11 ს. 37 წ. ღამ.
თფილისში მოდის		7 ს. 36 წ. ღამ.
ბორჯომიდან	№ 20	12 ს. 22 წ. ღამ.
თფილისში მოდის		7. ს. 47 წ. დილ.
სალ-ოღლიდან		12 ს. 10 წ. დილ.
სანაინიდან	№ 4.	7 ს. 30 წ. დილ.
თბილისში მოდ.		3 ს. 20 წ. დილ.
კახეთიდან თბილისში მოდ.		8 ს. 20 წ. ს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: მატარებელს № 7 თბილისიდან მიჰყვება სამი ვაგონი პირდაპირ ქუთაისამდის; აქეთ კი მატარებელს № 8 მოჰყვება ერთი ვაგონი მისტი (I—II კლ.) და ორი ვაგონი III კლასისა.

თბილისსა და ბათუმ-ფოთ შორის მატარებლები დადიან 18—20 საათის განმავლობაში.

ბათუმის მატარებლები № 7—8 დღეობით არ დადის.

გლეხთა საყურადღებოდ

დამფუძნებელი კრების ნაციონალისტთა ფრაქცია

აცხადებს, რომ იგი სიამოვნით დახმარებას აღმოუჩენს სოფლის მცხოვრებთ გლეხებს ყოველგვარ საერთო—სასოფლო—საქალაქო ბათა (ადგილ მამულის, სურსათის, ეკლესიის, სკოლის, გადასახადების და სხვა საქმეების) დროზე დასაკმაყოფილებლად სათანადო დაწესებულებათა მიერ.

ყოველგვარი ცნობები, შუამდგომლობანი და სხვა მასალა მიიღება **თბილისში:** „ნაციონალისტის" რედაქციაში დამფუძნ. კრების ქ. № 5